ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

სამედიცინო და სოციალური რეაბილიტაცია

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	060508

ქვეპროგრამის დასახელება:

სმენაპროთეზირებულ ბავშვთა აბილიტაცია/რეაბილიტაცია

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2024 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	6,200
სულ ბიუჯეტი:	6,200

ქვეპროგრამის მიზანი:

სმენაპროთეზირებული ბავშვების უზრუნველყოფა მათ საჭიროებებზე მორგებული სარეაბილიტაციო მომსახურების კურსებით.

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამით განსაზღვრული სამიზნე ჯგუფის სარეაბილიტაციო მომსახურების ორგანიზება. სამიზნე ჯგუფს მიეკუთვნება 10 წლის ასაკამდე სხვადასხვა ხარისხის სმენადაქვეითებული/სმენაპროთეზირებული (სმენის აპარატი, კოხლეარული იმპლანტი) ბავშვები.

ბენეფიციარს ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურება (1 კურსი: 14 ვიზიტი, ერთი ვიზიტის ხანგრძლივობა არანაკლებ 30 წუთისა) მიეწოდება ინდივიდუალური გეგმის შესაბამისად. ქვეპროგრამა, ასევე, ითვალისწინებს რეაბილიტაციის პროცესში მშობლების მონაწილეობას, მათი პრაქტიკული ჩვევების განვითარებასა და შემდგომი სამოქმედო გეგმის შემუშავებას.

სამიზნე ჯგუფისთვის გაწეული მომსახურება ანაზღაურდება მომსახურების ღირებულების 100%-ით, მაგრამ არაუმეტეს ქვეპროგრამით განსაზღვრული ტარიფისა - ერთი კურსი 310 ლარის ოდენობით.

საბიუჯეტო წლის განმავლობაში ბენეფიციარებს დაუფინანსდებათ არაუმეტეს ორი სარეაბილიტაციო კურსისა.

მომსახურების მიღება განხორციელდება სოციალური ვაუჩერის მეშვეობით.

ვაუჩერის გაცემის საფუძველს წარმოადგენს:

- განცხადება;
- ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ - ფორმა №IV-100/ა, სადაც მითითებული უნდა იყოს დიაგნოზი ICD-10 მიხედვით და რეაბილიტაციის კურსის საჭიროება (ექიმ-სპეციალისტის დასკვნის საფუძველზე);
- ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი, ან სხვა დოკუმენტი, რომლითაც შესაძლებელია ბავშვის იდენტიფიკაცია.
- არასრულწლოვანის საინფორმაციო ბარათი (პირველადი ჩართვის შემთხვევაში);
- მშობლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი ან სხვა დოკუმენტი, რომლითაც შესაძლებელია პირის იდენტიფიკაცია (კანონიერი წარმომადგენლის შემთხვევაში, ასევე კანონიერი წარმომადგენლობის დამადასტურებელი საბუთი).

ქვეპროგრამის მოსარგებლეები არიან საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის ტერიტორიაზე 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და ვაუჩერის გაცემის მომენტში, გარდა ქ. ბათუმში რეგისტრირებული მოქალაქეებისა არ არიან ჩართული "კოხლეარული იმპლანტების რეაბილიტაციის პროგრამაში".
ამასთანავე, ერთი-ერთი მშობელი მაინც უწყვეტადაა რეგისტრირებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და ვაუჩერის გაცემის პერიოდისათვის (წყვეტილობის არსებობის შემთხვევაში, პირი არ უნდა იყოს რეგისტრირებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციული ტერიტორიის გარეთ).

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)

რეაბილიტაციის კურსების ჩატარება	20	310	6,200

სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			6,200

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

	I კვარტალი	II კვარტალი	III კვარტალი	IV კვარტალი
მომსახურების მიმწოდებელი დაწესებულებების შერჩევა	X	X	X	X
მოქალაქეთა განცხადებების მიღება	X	X	X	X
წარმოდგენილი განცხადებების განხილვა	X	X	X	X
ვაუჩერის გაცემა	X	X	X	X

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

სმენაპროთეზირებული ბავშვებისათვის რეაბილიტაციის სერვისებზე ხელმისაწვდომობა გაზრდილია, ბავშვის ადაპტაციური შესაძლებლობა გაუმჯობესებულია, მშობლის უნარ-ჩვევები ამაღლებულია და ოჯახი გაძლიერებულია.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
სმენაპროთეზირებული ბავშვების განვითარების სტიმულირება, სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობა, ბავშვისა და ოჯახის გაძლიერება	რეაბილიტაციის კურსის რაოდენობა	20	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური დაცვის დეპარტამენტი	წელიწადში ერთხელ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში შემოსული მოქალაქეთა განცხადებების ანალიზი
სმენაპროთეზირებული ბავშვების რეაბილიტაციის პროცესში ჩართულობა	ჩართულობის მაჩვენებელი	90%	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური დაცვის დეპარტამენტი	წელიწადში ერთხელ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში შემოსული მოქალაქეთა განცხადებების ანალიზი
ბენეფიციართა რაოდენობა	რაოდენობა	10	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური დაცვის დეპარტამენტი	წელიწადში ერთხელ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში შემოსული მოქალაქეთა განცხადებების ანალიზი